

სტატიები ემიგრაციაში გამოცემული გაზეთებიდან

წინასიტყვაობა დათო ტურაშვილისა



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი — 2010 წელი



ქითვის ბავაპრსელეზელი საზოგადოება
SOCIETY FOR PROMOTION OF LITERACY



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

სერია "ილიას ბიბლიოთეკა", ქართულ კულტურაში დემოკრატიული ღირებულებების შესახებ, გამოიცემა ა.ა.ი.პ. "კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით, ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

ISSN 1987-961X

ISBN 978-9941-18-003-3

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

წინასიტყვაობა ასი წლის წინ	5
ქართულ თავისუფალ ორგანოს დაარსების საჭიროება	13
გაუმარჯოს თავისუფლებას!	16
თავისუფალი საქართველო!	23
დამოუკიდებელი საქართველო და ქართველი დემოკრატია	25
უბედური ნაბიჯი	54
ბიბლიოგრაფია	63

წინასიტყვაობა

ასი წლის წინ

საოცარია, მაგრამ ამ წიგნის ტექსტები ასი წლის წინ არის დაწერილი და მაშინდელი საქართველოს პრობლემები მართლა ისე ჰგვანან დღევანდელს, რომ, უბრალოდ, დაჯერებაც კი ძნელია. თუმცა ადვილია იმის აღმოჩენა რომ სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, უკანასკნელი ერთი საუკუნის მანძილზე ჩვენ ვერ შევძელით იმ ღირებულებების დამკვიდრება ჩვენს ქვეყანაში, რომელთა გათავისება მაქსიმალურად დაგვაახლოვებდა თანამედროვე ევროპულ ცივილიზაციას. ჩვენის ღრმა რწმენით კი, სწორედ თანამედროვე ევროპული ცივილიზაცია არის ერთადერთი პოლიტიკური სივრცე, სადაც (ინტეგრაციის შემთხვევაში), საქართველო შეძლებს არამხოლოდ რეალური მშვიდობის მიღწევას, არამედ ნებისმიერი, მისთვის ტრადიციული და მნიშვნელოვანი ფასეულობის შენარჩუნებასაც.

ბემოთქმულის ხაზგასმა კი იმიტომ გვინევს, რომ ჩვენს თანამემამულეებს შორის ხშირად იმდენად საგრძობია თვითმყოფადობის დაკარგვის შიში, რომ ყოველგვარ ახალსა და განსხვავებულს ბედმეტი სიფრთხილით ვხვდებით ხოლმე. რასაკვირველია, ჩვენს არჩევანზე რუსული პროპაგანდაც ახდენს გავლენას, მაგრამ თვითიზოლაციისკენ ჩვენი მიდრეკილებაც გულწრფელად უნდა ვადიაროთ, თუ მართლა გვსურს მართლა დემოკრატიული და თანამედროვე სახელმწიფოს შექმნა. მართალია, არსებობს საკუთარი და სუბიექტური პრობლემები დასავლეთისაკენ მიმავალ გზაზე, მაგრამ არსებობდა ობიექტური დაბრკოლებაც რუსეთის იმპერიის სახით და, სამწუხაროდ, დღესაც არსებობს.

დღევანდელი რუსეთი კი ასი წლის წინ აღწერილ რუსეთს იმდენად ჰგავს, რომ ამის დაჯერებაც საკმაოდ ძნელია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით და სინამდვილეში რუსეთი უკეთესო-

ბისკენ, შეიძლება, ასი წლის შემდეგაც არ შეიცვალოს. ამიტომაც უკეთესი იქნება, თუ მათ არ დაველოდებით და ჩვენ თვითონ შევიცვლებით, ან იმ ფუჭი იმედებით აღსავსე რომანტიულ დამოკიდებულებას მაინც შევცვლით რუსეთის მიმართ, დასაწყისში რომ გვქონდა. მაგალითად, პუშკინი რომ მოკლეს, ერთმა კახელმა თავადმა მზეჭაბუკ ვახვახიშვილმა მამული გაყიდა, ცხენი იყიდა (ყაბარდოული) და პოეტის მკვლეელი დანტესის მოსაძებნად შორეულ რუსეთში წავიდა. შურისძიება უპირველესად იმიტომ უნდოდა რომ რუსებისთვის ქართველი თავადების ერთგულება დაემტკიცებინა, მაგრამ ვახვახიშვილს დანტესი რუსეთში აღარ დახვდა, სამწუხაროდ და მან გზა ევროპისკენ განაგრძო. თუმცა ქართველ თავადს გერმანიამდე არ ჩაუღწევია, რადგან რუსებმა რომანტიკოსი ქართველი შურისმაძიებელი პოლონეთის საზღვართან, ტყეში მოკლეს.

მართალია რუსული ტყე (სინამდვილეში) არ არსებობს და ტყე, რომელსაც ჩემი ძვირფასი ესენინიც ლექსებს უძღვნიდა, ფინური ყოფილა. სკოლის სახელმძღვანელოში კი, გარკვევით ეწერა, რომ ადრე, სანამ ხალხები სახელმწიფოებად ჩამოყალიბდებოდნენ, ველური ადამიანები პირველყოფილი ჯოგური პრინციპებით ცხოვრობდნენ, რაც იმაში გამოიხატებოდა რომ ტყეში ერთად დადიოდნენ სოკოსა და კენკროვანის შესაგროვებლად.

რუსეთისაგან თავდაღწევა კი, იმიტომაც მიხარია რომ საკუთარი თვალით მინახავს როგორ დადიან რუსები დღემდე ერთად, (შაბათ-კვირას მაინც), ტყეში სოკოს მოსაძებნად. ეს რომ მახსენდება ხოლმე, იმასაც ვფიქრობ, რომ ამ ორასი წლის მანძილზე კიდევ კარგი გადარჩენილები ვართ.

ხოლო რადგანაც ფინური ტყე ვახსენე, ბარემ ფინეთის ამბავსაც ვიტყვი, იმიტომ, რომ ჩვენს მერე, რუსებმა ჯარები ჩვენსავით პატარა ფინეთშიც შეიყვანეს, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, ვერც ფინეთის ოკუპაცია შეძლეს, ვერც მისი ანექსია და ვერც საბჭოთა ხელისუფლების დამყარება იქ. მეტიც – ფინელებმა ქვებითა და ტყეებით, თითქმის მოსკოვამდე სდიეს კბილებამ-

დე შეიარაღებულ რუსეთის არმიას და უზარმაზარი საბჭოთა იმპერია რამდენიმე კვირაში დაამარცხეს. მშვენიერი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის მოთხრობაშიც, ამ მოთხრობის გმირის დახასიათებისას, ავტორი ხუმრობდა (ან საბჭოურ კონიუნქტურას ითვალისწინებდა), როცა ამბობდა – კუკარაჩამ ფინეთის ომიდან ორი ტანკი წამოიყვანაო, რადგან ფინელებს მაშინ, ტანკები საერთოდ არ ჰყოლიათ და ამ ფაქტს, რუსული ისტორიოგრაფია დღემდე საგულდაგულოდ მალავს. ფინელი ხალხის გმირული გამარჯვება კი მაშინ (ყოველგვარი პათეტიკის გარეშე), განაპირობა ფინეთის მაშინდელმა მთავრობამ, რომელსაც ჩვენზე მძიმე ოპოზიცია ჰყავდა, მაგრამ მიხვდა, რომ რუსეთის დამარცხება, მხოლოდ ერთიანი ძალებით შეიძლებოდა. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებაც თუ დაიჭერებს, რომ ჩვენი ოპოზიციაც, ხალხიც და საზოგადოებაც, ჩვენივე სახელმწიფოს აუცილებელი და განუყოფელი ნაწილია, მხოლოდ მაშინ შევძლებთ რუსეთისაგან თავდახსნას. რუსულ არეალსაც რეალურად მაშინ დავშორდებით, როცა არამხოლოდ დეკლარირების დონეზე დავიწყებთ თანამედროვე ევროპული ღირებულებების დამკვიდრებას საქართველოში და ყველანი, ჩვენც და ხელისუფლებაც დავიჭერებთ რომ დემოკრატია სისუსტე კი არა, სინამდვილეში უზარმაზარი ძალაა.

ამ წიგნის ტექსტების ავტორებიც, ჯერ კიდევ ასი წლის წინ ცდილობდნენ მკითხელებისა და, საერთოდ, ქართული საზოგადოებისთვის იმის ახსნას, რაც ასე მნიშვნელოვანი იყო გზაჯვარედინზე მდგომი ხალხისა და ქვეყნისათვის და იმ ტექსტებში სულაც არ არის შემთხვევითი სოციალური აქცენტები, რომელიც მაშინდელმა საყოველთაო მემარცხენეობამ მოიტანა. თუმცა სინამდვილეში (რუსეთის ფაქტორამდე), ჩვენს ქვეყანაში სოციალური მოტივაციით კლასობრივი დაპირისპირება არასოდეს ყოფილა და ჩვენი წინაპრებიც მხოლოდ მაშინ ჯანყდებოდნენ, როცა მათთვის ღირსების აყრა ან თავისუფლების წართმევა სურდათ და მათ უსამართლოდ ექცეოდნენ.

ჩვენი წარსულის ნებისმიერი ფურცელი, რასაკვირველია სულაც არ არის საამაყო, მაგრამ ზემოთქმული (ჩვენი სუბიექტური აზრით), სწორედ რომ ჩვენი ისტორიის მშვენიერ თავისებურებაზე მეტყველებს და ამ თავისებურების გამოყენებაც შეიძლება დემოკრატიული ცვლილებებისა და რეფორმების გზაზე.

წარსულს რომ დროებით მაინც თავი დავანებოთ, ისინი, ვინც ახლა (ხელისუფლება თუ ოპოზიცია), დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნას უშლის ხელს და უარს ამბობს ძალაუფლების გადასწორების დასავლური პრინციპზე, უნებლიედ, უწყობს ხელს საბჭოური სისტემების ხელახალ აღორძინებას ჩვენს ცნობიერებაში, რომელიც თანამედროვე რუსეთის მთავარი მახასიათებელია.

სხვათა შორის, ამ წიგნში აღწერილ, ასი წლის წინანდელ რუსეთის იმპერიას, უფრო გვიანდელ, რუსეთის საბჭოთა იმპერიასთან შედარებით, რამდენიმე უპირატესობა მაინც ჰქონდა. მაგალითისთვის კერძო საკუთრებისადმი დამოკიდებულების ერთი საოცარი შემთხვევაც იკმარებს, რომლის ანალოგი საბჭოთა ისტორიაში, უბრალოდ, არ არსებობს.

რუსეთის მაშინდელმა იმპერატორმა, ალექსანდრე მესამემ, საქართველოში ჩამოსვლამდე, წინასწარვე გამოთქვა სურვილი წინანდლის ბაღის ნახვისა, რადგან მისი ქება მანამდეც ბევრჯერ ჰქონდა მოსმენილი და კახეთშიც დიდი მზადება დაიწყო. ბაღს რა მომზადება უნდოდა, მაგრამ წინანდალში, მასპინძლების ვარაუდით, ჭავჭავაძეების ან უკვე ყოფილ მამულში, ერთი პრობლემა აუცილებლად დახვდებოდა რუსეთის იმპერატორს. მუსტად ბაღის წინ მაშინ ერთი კახელი გლეხის ივანე ზურაბაშვილის ქოხი იდგა, რომელიც მეტიჩარა ქართველების აზრით მშვენიერ ხედს ამკარად გაუფუჭებდა ალექსანდრეს მესამეს, როცა იმპერატორი ჭავჭავაძეების სახლის აივანზე გადმოდგებოდა. ამიტომაც ალექსანდრეს ჩამოსვლამდე იმ კახელ გლეხს ადგილობრივმა (გუბერნიის) ხელისუფლებამ წინადადებით მიმართა, რომ ის ზურაბაშვილი საცხოვრებლად სხვაგან გადასულიყო და იმ დაშლილი ქოხის სანაცვლოდ კომპენსაციასაც კარგ ფულად

მიიღებდა. კახელმა კაცმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა (ალბათ ესეც კახური წარმოშობის გამოთქმაა) – პაპაჩემის აშენებულ სახლს როგორ მივატოვებო და მამრის წარმომადგენლები (ერთად და ცალ-ცალკე) ერთი თვე უხსნიდნენ იმ ივანე ზურაბაშვილს რომ სინამდვილეში ეგ ქოხი იყო და არა სახლი, მაგრამ სრულიად ამაოდ.

მოკლედ (ბევრი რომ არ გავაგრძელო), ის კახელი კაცი ვერაფრით დაითანხმეს სხვაგან გადასახლებაზე – მაინც პაპაჩემის ქოხში ცხოვრება მირჩევნიაო და ბოლოს იმპერატორიც უხსენეს და სიმართლაც უთხრეს თუ რატომ უნდა გადასახლებულიყო და ამან კი თურმე სულ გააგიჟა ივანე ზურაბაშვილი – აი თქვენი იმპერატორიო.

ბოლოს იმპერატორსაც შეაპარეს კახელი გლეხის ჭიუტობის ამბავი, როცა წინანდალში, ჭავჭავაძეების სახლის აივნიდან ალაზნისკენ გაიხედა ნაბახუსევზე და ზურაბაშვილის ქოხი დაინახა. მერე ძალიან ყურადღებით მოისმინა ყველაფერი და თურმე ძალიან ბევრიც იცინა და ბოლოს კი იმპერატორმა ძალიან სერიოზულად თქვა – კანონი ყველასთვის ერთიან და ივანე ზურაბაშვილიც აღარავის შეუწუხებია. ის ქოხი კი მხოლოდ 1921 წლის შემდეგ დაანგრის, როცა საქართველო საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო და ჩვენც სამწუხაროდ, სწორედ იმ საბჭოთა საქართველოს მემკვიდრეები ვართ.

ეს მენტალური მემკვიდრეობა კი მგონი მაინც მთავარი წინაღობაა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე და, თუ ამ პრობლემის მოგვარება შეეძლებოდა, მერე ნებისმიერ დაბრკოლებასაც გადავლახავთ. მაშინ კი, ასი წლის წინ, ძალიან ახლოს ვიყავით მიზანთან, რომ არა ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ხელახალი დაპყრობა და ანექსია. მთელს მაშინდელ რუსეთის იმპერიასა და საქართველოში იმდენად პოპულარული იყო მემარცხენე იდეები რომ ქართველები სოციალიზმს „ცოციალიზმს“ უწოდებდნენ, რადგან ეს მოძღვრება მართლაც სოფლიდან სოფლამდე, სახლიდან სახლამდე და-

ცოცავდა მთელს საქართველოში და თანასწორობის იდეას განათლებულ ქართველებს შორისაც ჰქონდა მყარი დასაყრდენი. მაშინდელ საქართველოში კი სწორედ იმ თაობის ადამიანები გამოჩნდნენ პოლიტიკურ, პუბლიცისტურ და კულტურულ ასპარეზზე, რომლებმაც განათლება ევროპის უნივერსიტეტებში მიიღეს და, რომ არა 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომი (თავისი ტრაგიკული შედეგებით), ჩვენს ქვეყანაში აშკარა წინარენესანსული ნიშნები იგრძნობოდა. სხვათა შორის, ამ ენერგიის ინერტული გამოვლენა მაინც მოხდა მეოცე საუკუნის ოციან წლებში, როცა ქართული კინოსა და თეატრის, ლიტერატურისა თუ მეცნიერების განვითარებამ იმდენად შეაშფოთა საბჭოთა ხელისუფლება, რომ ბოლშევიკები იძულებულები გახდნენ 1929 წლიდან რადიკალურ და კატეგორიული შეზღუდვები შემოეღოთ. განსხვავებული ამრის აკრძალვამ, რასაკვირველია რამდენიმე ათეული წლით შეწყვიტა და შეაფერხა ქართული ამროვნების განვითარება ადამიანისა და ქვეყნის ბუნებრივი ევოლუცია, მხოლოდ თავისუფალ პირობებში ხდება. მხოლოდ თავისუფალ გარემოში ვითარდება ადამიანი და საზოგადოება და ამიტომაც თავისუფლება (ერებისა და ქვეყნებისათვის), თვითმიზანი კი არა, ბედნიერებისა და კეთილდღეობის მიღწევის ერთადერთი საშუალებაა.

მხოლოდ თავისუფალ ადამიანსა და მხოლოდ თავისუფალ ერს შეუძლია ბუნებრივად განვითარება და ჰარმონიულად თანაარსებობა დანარჩენ სამყაროსთან ერთად.

მაშინაც, ასი წლის წინაც, საქართველოში არსებობდნენ ადამიანები, რომლებსაც ზუსტად ესმოდათ თავისუფლების ფასი და ერთმა მათგანმა ხაშურის სასაფლაოზე, დამოუკიდებლობამდე რამდენიმე დღით ადრე, გარდაცვლილი მამის საფლავს ამიტომაც გაუკეთა ასეთი საოცარი წარწერა:

„მამა გიხაროდეს, საქართველო გათავისუფლდა!

1918 წლის 26 მაისი“...

დათო ტურაშვილი

11.05.2010